ხუცუა თოფურიას ბიჩიკი ქორდი

287 1 69

287 1 69

დასკანირებულია 14.01.2025 20

13.

„საქართველო", 1969.
22/V № 98

გალაქტიონ ტაბიძის
ერთი დღე ოსეთში

ერთი დღე? მხოლოდ ერთი დღე ოსეთში. რით არის იგი ეხლანდელ საუკუნდღეში გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ისტორიაში? შეიძლებელია ასეთი კითხვები წამოიჭრას მკითხველის წინაშე ამ მოგონების სათაურის წაკითხვისთანავე. და სანამ ამ კითხვებზე გავცემდეთ პასუხს, ჩვენ კიდევ უფრო დავაზუსტებთ დროს: — ხუთშის 6 საათიდან დილის 9 საათამდე.

დიახ, დროის მხოლოდ ეს მონაკვეთი დაყო 1956 წლის 20 აპრილს გალაქტიონ ტაბიძემ ოსეთში, სამხრეთ ოსეთის ცენტრ ცხინვალში, სადაც მას სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ტრიუმფალური საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

ეს იყო ჭეშმარიტი პოეზიის, ჭეშმარიტი ქართული პოეზიის, ჭეშმარიტი ქართველი საბჭოთა პოეტის დიდი შემოქმედებითი გამარჯვების საყოველთაო აღიარების ზეიმი, მაგრამ ამჟერად არა წმინდა ქართულ გარემოში, არამედ უაღრესად ინტერნაციონალურ ატმოსფეროში, რომლის განსახიერებას ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარმოადგენს. ხალხი გაეცილა ხაქტო დარბაზში მაინც, რახაკვირველია, ისი ინტელიგენცია, ისი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა სჭარბობდა და, ამდენად, ეს იყო ქართველი და ოსი ხალხების, ქართველი და ოსი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისტორიული შეგობრობის თავისებური ნათელი გამოხატულებაც, თავისებური ჭეშმარიტი ზეიმიც.

შეხვედრის მოწყობის ინიციატივა და ორგანიზაცია ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის გაერთიანებულ კათედრას ეკუთვნოდა, რომელიც იმ ხანებში უმთავრესად თბილისიდან ჩამოსულილექტორებით იყო დაკომპლექტებული. ამ სტრუქტურის ავტორის გარდა, მასში შედიოდნენ აწ განსვენებული ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა გაფრინდაშვილი, განსვენებული დავით ჩხეიძე, ამჟამად პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოსეთ პედაგოგური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი ჯემალი ფუთხაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოსეთ მეგრელიძე, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, დოცენტი ოთარ ჭანავა, ამათ ეე კათედრის წევრი, დოცენტი კარპენ დონაძე და სხვ. ხალხის მოკვარი ორგანიზატორი მაინც ჩვენთან ერთად ალექსანდრე ღლონტი იყო, რომელმაც იცის-ია გალაქტიონის ჩამოყვანისა და მისი ცხოვრების და შემოქმედების შესახებ კვალიფიციური მომხსენებლის შერჩევისა და თვით გალაქტიონთან მისი შეთანხმების საქმე. ეს ბედნიერება წლად ხვედა ამჟამად პუშკინის სახელობის ობილისის სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეს, უსნობელ კრიტიკოსს და მკვლევარს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დიმიტრი ბენაშვილს.

და აი გალაქტიონ ტაბიძე მხიბარი ავტომანქანით, თომხვნებლისა და სტუდენტ გივი თედეევის თანხლებით, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგურ ინსტიტუტს ეწვია ზუსტად დანიშნულ დროზე, 1956 წლის 20 აპრილს, სალამის 6 საათზე.

საქმო დარბაზი ამ დროისათვის უკვე ხალხით იყო გაჭედილი. პოეტის გამოჩენის დარბაზში უჩვეულო ტაშის გრიალით შეხვდნენ. ძვირფას სტუმარს წინ მიეშურა გულითად მასპინძელი ალექსანდრე ღლონტი, იგი არყევევდა ფაქტიურად ვერავინ მოესწრო მოსვლილი გზას და სასოებით ამოყავდა გალაქტიონი სცენაზე.

ტაშის ქარიშხალი დაცხრა. დარბაზი გაირინდა. პრეზიდიუმის მაგიდას ორ მწვრივად მოესხნენ სტუმრები და მასპინძლები. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა დიმიტრი ბენაშვილს, რომელიც გალაქტიონს და ჩვენს შუა იჯდა. მოხსენება დაახლოებით ოთხიც წუთს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მე გადავიცანით ვადევნებით თვალს გალაქტიონის ყოველ მანერას. ეს იყო ჩვენს ცხოვრებაში პირველი შეხვედრა ვევა, როცა ასე ახლოს, თითქმის სულ ვვერაფით ვიმეოფებოდით მასთან და არ შინდოდა უსარგებლოდ გამეშვა ხელიდან ეს ხანგრძლივი შესაძლებლობა. იქნებ რაიმე ისეთი შტრიხი, ისეთი იდუმალი მზერა დამეჭვრა, რომლის ახხნებვა რაღაცაით მაინც გამოგომოდა მთაბო. მაგრამ, მაშინ ეს იყო ერთადერთი სურვილი და ერთადერთი მიზანი.

ამიტომ ცალი თვალით შემპარავად მასაც ვიხედებოდი, ცალი თვალი და გულისყური კი მომხსენებლისკენ მქონდა მიპყრობილი. დრო და დრო გალაქტიონი ფრთოდ გაახელდა თავის დიდ-რონ თვალებს, შავ წარბებს ზევით აწევდა და მლიმარე, გაცისკროვნებული სახით გადახედავდა დარბაზს ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. სცენის დაკვნებიდან ჭერის კუთხეებამდე. შემდეგ მარჯვენა ხელით ნიკაპსა და მკერდზე დაფენილ გრძელ წვერებს ჩამოივაკლაწნიდა ხოლმე.

ერთხელ თავი ორივე ხელისგულში ჩაერგო, თვალები ოფხუჭა. წვერები უკვისტერი კოსტუმის ღილებამდე და ბოგიდს ბეიდემდე ჩამოფენოდა და უნებურად მოიჩვენა, რომ თოლიები, დიახ, თოლიკ, ნამდვილად თვლიდა!

და არც იყო გასკვირი. სამოცდაში საათის ნამუშაკრი დარბაზში შემოდიდა. ხუმრობა ხომ აღ არის! აგერ სამოცდახუთი წლის ხდება, დაიქანცა პოეტი! არა, დაიქანცა ადამიანი პოეტში, ადამიანური სხეული მარად დაუქანცველ პოეტურ არხეინში, რომელიდაც წარმავალი ნაწილი პოეტის მარადიულ სულშია ასე ვფიქრობდი რამდენიმე წამს, იმ რამდენიმე წუთს, როცა ჩემი წარმოდგენით არაითუ ნამდვილად თვლიდა იგი, არამედ ზოგჯერ აფარებული ხელების ჩრდილში ენის წვერით შრილ ტუჩებს იხვლებდა ყოველ, ბაგეებს არხეინდა და ასე გადმოსცემდა ჩემთვის რაღაც უსაზღვრ და შეუცნობილ ბგერებს.

ამ დროს მომხსენებელი უკვე გალაქტიონის ადრინდელი შემოქმედების, მისი უნაზესი ლირიკის ერთგვარ ხორკლივან „ნაწიბურებზე", ან დეკადენტურ-სიმბოლისტურ გაწყვეტილებებზე ლაპარაკობდა, რომლებიც „ზე და ღამის" და „ლურჯა ცხენების" ავტორს, მისი აზრით, ფრანგი სიმბოლისტების გავლენით ჰქონდა გამოხატული. ეს აზრი ქართულ ხალიტერატურო კრიტიკაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. შემდეგ მომხსენებელი პოეტის ღრმა ფილოსოფიური ლირიკის „ხანაზეს" გაანალიზებდა და მოითხოვა მთელი მისი შემოქმედებითი გზა, როგორც ქართულ საბჭოთა პოეზიის ხასიათისაკენ წინამორბედის — ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის და ვაჟა ფშაველას ტრადიციების გაგრძელების მეტად უშესანიშნავესი ეტაპი.

გალაქტიონი ახლა უკვე პრეზიდიუმის მაგიდის ცენტრში იჯდა იმ გოლიათური აღნაგობით და გაცისკროვნებული, ღიმარე თვალებით მოჩანდა, როგორც ხხდომის დასაწყისში, როცა იგი ერთმანეთში გადაჯღმილი ხელების ნელი რხევით სცენიდან მადლობას უხდიდა მის პატივისცემელ და ეხლიც დამფასებელ დამხვრე საზოგადოებას.

მხურვალე მიხალმებების შემდეგ გალაქტიონმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი, მათ შორის „იდიდე, მშვიდობავ", „ისევ ახალგაზრდობაზი" და „ხალამი ახალგაზრდობას". ეს ორი ლექსი სავანგებოდ ჰქონდა დაწერილი და შერჩეული სტუდენტი-ახალგაზრდობის იმ ოდებრ-რიისათვის, რომლის წინაშე იგი ახლა იმ ვალმოხდილი და პირნათელი იდგა.

ლექციის გალაქტიონისეული კითხვა ერთი შეხედვით თითქოს ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მაგრამ იგი განუმეორებელი და ინდივიდუალური იყო. გალაქტიონ არ მისდევდა ინტონაციის, მახვილობის და პაუზის იმ დაკანონებულ ხტამპს, რომლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავებას მხატვრული გამომეტყველებითი კითხვის ისტატებმა და თეორეტიკოსებმა სა-უუნენების მანძილზე დიდძალი შრომა შეალიეს. აქაც თითქოს, ისე, როგორც ლექსის ფორმის დარგში, გალაქტიონი ერთგვარ რეფორმატორად გვევლინებოდა. იგი მახვილს ჩვეულებრივ ორ და სამ მარცვლიან სიტყვებში არა მთლიდან მეორე, არამედ პირველსავე მარცვალზე აკეთებდა და ამის შედეგად თითქოს დისონანსი შეჰქონდა წარმოთქმის ტრადიციულ ეტიკეთის ელფერში, მაგრამ მისეული ინტონაციით წარმოთქმული „იდიდე, მშვიდობავ, იდიდე" ქმნიდა ბგერების, რითმისა და რიტმის თავისებურ პარმონიას, რაც ესოეტიკურ ყურადღებას და სიამოვნებას ანიჭებდა ლექსის ბოლომდე და თვით კითხვასაც.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი შეიძლება გადაიზარდოს უფრო მოსაწყენ ფორმალურ ღონისძიებად, სადაც ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის გაწყობილის მე-4 კურსის სტუდენტების კითხვების წევრებთან ერთად მოწვეთილი ჰქონდათ ბანკეტი გალაქტიონ ტაბიძის პატივსაცემად. ამ ეს ბანკეტიც არანაკლებ ღირსსახსოვარი.

სუფრა ვრცელი სადარბაზო ოთახის მთელ სიგრძეზე იყო გაწყობილი. შესანიშნავი კარის პირდაპირი კედლის განწვრივ ერთმანეთზე მიდგმული და სუნთხოვნადგით, ღვინის ბოთლებითა და დოქებით დამშვენებული მაგიდები განირი არ იყო და ოთახში საკმაო ადგილი რჩებოდა გავლა-გამოვლისა და ცეკვისათვის. უკანა კედლებთან ხალიჩაგადაფარებული ტახტიც იდგა, წინ წიგნების პატარა მაგიდით. სხვა სანგებლო მოხერხებულობა ოთახში ან შეიმჩნეოდა. იგი უბრალოების, ვაზიწყობისა და გულითადობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. რომ მეხსიერ მასპინძელთა, სტუდენტება და ლექტორთა პოეტებისაში ერთობლივი, ეშმარიტად გულწრფელი სიყვარული უეჭველებოდა. ეს არ იყო გამოხატული არც ზედმეტ პათეტიკურ სიტყვებში, არც ბახუის ძალით გადაჭარბებულ სიამაბეში და არც რომელიმე მეტიჩარას მიერ პოეტის წინაშე თავის გამოჩენის ვულისაბრეც ქათინაურებში. ყველა თითქოს სათუთად „შინაგანად წყნის" ზუსტად იცავდა. უველაფერიდან გამოსჭვიოდა პოეტისადმი ხაერთო დიდი რიდი, მოკრძალება და თაყვანისცემა. თამდენიმე ალექსანდრე ღლონტი, რომლის მამპირდაპირე იჯდა გალაქტიონი, ის გვერდით — დიმიტრი, ხოლო ჩვენ, ლექტორები, სტუდენტების შორის ისე ვიყავით ჩამჯდარი, რომ უველას დანახვა შეძლებოდა.

როგორც კი გალაქტიონი სუფრას მიუჯდა, იგი ერთბაშად გამოიცვალა, გამოცოცხლდა, გახალისდა და სულ მალეხვე გაუჩნა დღელეობის ის იერი, რომელიც ნაწილობრივ შეეშჩნიათ ხანებით ხხდომაზე. ხუთდეზეთოთვის ხიცხეში მიუწვდომლობიდან ის უკვე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი გახდა, უბრალო, სადა, მომლხენი, მომლხენი-რალა, გამომთხი, მოცეკვავე. ამან ბიძგი მისცა ჩვენს წარჩინებულ სტუდენტს, ამხვანს სამხრეთ ოსეთის რაიონიუფლებობის რედაქციის უფროს რედაქტორს, ფუნჩალეთის გუნი თედეევს ფოტოზე ალებულიყო გალაქტიონისა და მის გვერდით მყოფთა ცალკეული სანტერესო პოზირებები. სადღეგრძელოების ცალობა, სიმღერის გაჩერა, გიტარის ცეკვა და ასე გრძელდებოდა დილამდე. გალაქტიონს ხელი არ ეკარებოდა, ფხიზლობდა და ფეხზე ამდგარ თითქმის ქედგად იქცა. უველას გუხიბლავდა მისი ღრმამშინაარსიანი სიტყვა ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ამავე დროს უველას გვაოცებდა მისი გონების ახსოვლობის სიფხიზლე, რომელსაც ბახუის ძალა ვერ მორეოდა.

ერთხელ სტუდენტებს დრო ეხელთათ და უფრო ახლოს მისხედომოდნენ ფუნჩზე მდგან გალაქტიონს, რომელიც გატაცებით იგონებდა თავისი ცხოვრების განვლილ ეპიზოდებს. უცებ ის ერთ მათგანს მიეპარუნდა, თვალებში ჩააცქერდა და მისთვის დამახასიათებელი შეკრიქლებით მიმართა.

— რა გქვია, ძამიკო, შენ?

— გივი, ბატონო გალაქტიონ, — სწრაფად მიუგო პახუმა და ელვარე თვალები მიაპყრო.

— რა გვარი ხარ, ძამიკო?

— თედეევი.

— თქვენ, გოგონა?

— მამისაშვილი.

— ხახელი?

— მარო, მარიამ.

და ახე ჩვითხა რამდენიმეს. მერე თვითონ აბრიალა მათი გვარი და სახელი: ანა სუდაგე, მერი ცხოვრებოვა, მარიამ მამისაშვილი, გივი თედეევი... მოყვა და მოყვა, ხან ქართული გვარი, ხან ოსური — გალაქტიონს უცებ ხახე არავერებრივად გაუბრწყინდა, თითქოს მიაგნო, რასაც ეძებდაო, მარჯვენა ხელი წინ გამოიშვირა, ტანიც ნახევრად მოაბრუნა ხელის მიმართულებით და ახლ მოგონებას ახალი სადღეგრძელოც მოაყოლა.

— ახე იყო, ძამიკოებო, ძველდაძველ ერთად ვსწავლებოდით ქართველები და ოსები, ერთ მერხზე ვისხედით, ერთ მოწნეზეს ვეძახპურებოდით. სხეხნაირად-ში ჩემი ახლო მეგობარი იყო ერთი ოსი ყმაწვილი, ვალოდიას ვეძახდი მას, გვარად ფარნდონი იყო. ის დიდად მიყვარდა, ნიჭიერი იყო. ცეკვის ტოლი, ოსურ „ახა-ახას" რომ დასახედავ, იატაკს აზანზარებდა, აქედან ფერხის ოსტატობა და ოსური ბის დიდი სიყვარული. 1932 წელს ქართველი მწერლები ოსეთს ეწვევით. 1952 წელსაც გახლდით აქ, ახლა კი მეორე უკანასკნელად ვარ ოქვენს მიწა-წყალზე!

რაოდც ნაღველი შეეპარა ხმაში, მაგრამ უცბად დაფრთა და შერიული შუბლი უცბად გახსნა.

— შუდამ ახე ერთად იყავით, ბაბუკები და ქალიშვილები, ქართველი და ოსი წლების მანიდულ შეკობრობას გაუმარჯოს. — თქვა ეს და ხახე ყაწნი სულმთელ ქედად გამოსცადა. დაჯდა, ხელები აიფარა ხახეზე, დაღუმდა. გეგონა მიეძინებოდა და ღონების მოხმობას შეეუდექით. სულ რამდენიმე წუთმა განვლო მის ახეთ მდუმარედ ყოფნაში. ცეცვა-მოლხენა კი გრძელდებოდა.

გალაქტიონი უცებ ისევ ზეწამოიჭრა და თვალებით დიმიტრის დაეწყო ძებნა.

— დიმიტრი, სადა ხარ, დიმიტრი, ძამიკო! — იძახდა ის.

— აგერ ვარ, ბატონო გალაქტიონ. — უპასუხა ცეკვით გართულმა დიმიტრი ბენაშვილმა და გალაქტიონს მიაჩერდა. ყველანი ისევ მასკენ მოვბრუნდით. ახლა ეხეც ეწერა ხელში და არც ღვინით ხავსე ჰქონდა. ორივე ხელიანი მაგიდის ძირითებს ეყრდნობოდა და თითქოს მოსხენების დასაწყებად ემზადებოდა. ერთი წუთით ისიც, ერთ მოაყოლ თვალები და შეშდეგ დაიწყო:

— ეს, დიმიტრიც შეცდა დღეს, ჩვენი ეხეთი ხანგრძლივი ყოველდღიური ურთიერთობის განმავლობაში ეს, გალაქტიონ სიმპათიური იყოო, არ ტყუებენ. არა, ძამიკო, დიმიტრი, არა ამხანაგებო, ეს არ არის სწორი, ეს გაუგებრობაზეა დამყარები. მე ახეთი გულუხვობა და ახეთი ვრცელი სიყვარული არსად არ მიგრძნობია და აი, თქვენ გაგაცნობთ, ჩემი ძვირფასო ბაბუებო და ქალიშვილებო, ჩემი ღიდოსნის დამსოლიე სიდიშვილს, „ზე და ღამის" შემწინის სიდიშვილს.

იგრძნობოდა, რომ ახლა უკვე ის თავისი შეომქმედების „ნამდვილ ღსტაბში შედოდა, იმ ეპიტაზში, რომელშიც წარმოიშობა ხოლმე სულის ყველაზე უსაოფისი ღღვიძი, ყველაზე ფიცხი, ყველაზე ბიძგიანი. უცებ უნის წოვნა მოვიპრანგვა და სიტყვა-სიტყვით ჩაეიერე შეეეეეე:

...ეს იყო ახალგაზრდების დროს, 1912 წელს... — დაიწყო ნელი, მკაცრი ხმით გალაქტიონმა. — ქუთაისის ხავორჩინო ცისკენი ერთი ჩემი ახლო მეგობარი რეეოლუციონერი იჯდა. მე და ჩემს ამხანაგს დაკლებული გვქონდა მიკედლი. მისგან ხანდისანი წიგნები, წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით, რომ ის ციხის შემდეგ ხალინდან ქუჩისენ, სადაც ჩვენ უნდა ვმდგარიყავით, პატრის ხულის დაწერილ ბუნდას გადმოვაგდებდა, რომელშიც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მითითებული. და, აი, ერთხელაც სალამოვას დავწყეთ სეირნობა ციხის გალავნის ირგვლივ. დაიწყო ქუჩაზე დიდხანს მოგვიხდა სეირნობა და ლოდინი. ეტყობოდა ხელსაყრელ დროს ეძებდა. ბოლოს ჩემს ახლოს დაეცა პატრის ბუნდა... ფშვე ავიღე და გადავტეხე იგი. შიგ მართლაც ბარათი იდო: „მარადი შემოგვიგზავნეთო".

ეს მე საიდუმლოდ შევინახე. აი, რამ მომცა ბიძგი დამეწერა ჩემი „ზე და ღამე"... — თქვა ეს და ახევ დიმიტრის მიმართა.

— რა აქვს, დიმიტრი, ამ ამბის შემდეგ საერთო ჩემს „ზე და ღამეს" სიმბოლიზმთან? არაფერი, არაფერი.

— ეს ამბავი ღრიან ხანძრებისა, ბატონო გალაქტიონ, და აწი გვეთავეთ ლისუნგები! — მოკრძალებით შეეპასუხა პატივცემული დიმიტრი.

ამ მცირედი შეპაერებიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ პრეზიდიუმზე ყოფნას მე მხოლოდ მომჩვენებია გალაქტიონის თვლეში, ნამდვილად კი ის თურმე მომხსენებლის ყოველ სიტყვას გულდასმით უსმენდა და თავის გონში ეკამათებოდა კიდეც მას. ფუჭვილია, ამის მომპსენებელს იყო ტუჩების ის უცნაური ცმაცუნი და ბაერების იდუმალი შრიალი, რომელზეც ზემით ვლაპარაკობდი.

გალაქტიონის ეს შინაგანი სულიერი ღაღმოსი მართლაც, ენობაგრძნობის მსგავსად, უკანასკნელი აღმოჩნდა. ზუსტად ხამი წლის შემდეგ მან ტრაგიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. თბილისის სამკურნალო კომპლექსში მწოლიარე პოეტს გარდაცვალებამდე ნამდვილად დღით ადრე ვეწვივე და თან მივუტანე ცხინვალში მის მიერ „ზე და ღამის" გენეზისის საკითხზე გამოქვეყნებული ზრების ჩანაწერები ხათანადო კომენტარებით. დიდად ეხიამოვნა, თავის უბის წიგნაკში ხაგანგებო ჩანაწერი გაკეთა და მთხოვა, რომ წარდგენილის ხახით გამომეკვეხნებინა ეს მასალა. მე ვცნობდი, რომ „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე ვაპირებ დაბეჭდვას მეოქი. ამან კიდევ უფრო გაახარა და დაუყოვნებლივ ჩემს წერილს ბოლოში ახეთი წარწერა გაუკეთა: „ძმაო ერემია! (იმ ხანებში ერემია ქარელიშვილი ეწერდა ხელს რედაქტორის — გიორგი ნატროშვილის მაგიერ გაზეთს) აკაკი თოფურიას ეს წერილი წაეკითხოს. უველაფერი ნურა ხწორია. გთხოვთ უცველად დაბეჭდოთ". ერემიას წერილი იმ დღეს და მეუთხე. ზოამზადა კიდეც დასაბეჭდად. მაგრამ მოულოდნელად გალაქტიონის სიკვდილმა მოუსწრო და ხსნა მინაწერი ნიმი წერილისად დღემდე შერჩა და მოწიწებით ინახავს. ჩვენ მხრივ კი, რაკი ტრაგიკული სიკვდილიც შეთანხმებული გვქონდა პოეტთან, მისი ხურვილი მალე შევასრულეთ. 1958 წელს ჩვენი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის" მეორე წიგნის პირველ გამოცემაში ხაგანგებოდ შევიტანეთ ქვეითი „ზ. ტაბიძის „ზე და ღამე", რომელშიც ზემოთ მოტანილი მოგონება მთლიანად დაბეჭდილი გვაქვს ხათანადო კომენტარებითა და ანალიზით (იხ. გვ. 276-278).

...რეჟისერი მოდგა ხარკმლებს, ცხინვალი იღვიძებდა, ფეხზე დგებოდა, დღიური მჩქეფარე შრომისათვის მემზადებოდა. ჩვენც ნელ-ნელა ოთახიდან გარეთ, ეზოში გამოვედით. დილის გრილი, მხსოვრებელი ნიავი ჰქროდა. იმ ხანებში გრძელი პალტოები იყო მოდაში და გალაქტიონსაც დრაპის შავი, ალ-იკ გახეხილი გრძელი პალტო ეცვა და შეიპა ეზოში. არც ნამოვრილეს ჭაბედ და არც მთლად ფხიზელს, არც ენა ეშლებოდა და არც ფეხი. ოჯახის პატრონს გაეცოდით გამოსაშვიდობებელი გუნდი ოური სამხედრო, რომლის ლოტბარობა მე დამეკისრა (ბახუთის სიმღერა არ ვიცოდი, გარდა ცოტაო მოლხენის შედეგ ჩენებური „აბა ულასი", რომელიც ოტაციებში ხოლმე განსვენებული ალექსანდრე ჩხეიძე თავის მხვდებსაგროვი მდიდარი ხმით). გუნდის სატაო წევრებად. სტუდენტებთან და ჩენი კოლეგების წევრებთან ერთად გალაქტიონს ტაბიძეც და დიმიტრი ბენაშვილიც ითვლებოდნენ.

შეხდა ჩვენ ერთიანად სასტუმროში გამოვეცით გალაქტიონს, გზაზე სტუდენტი გოგონების უუკურადღება ეუვიდნენ, ისიც გრძნობდა ამას და ხან ერთს გადახედავდა ხელს, ხან მეორეს. — რა ამბები არ მოიგონა კიდევ გალაქტიონმა თავისი ცხოვრებიდან! ზოგს, რა თქმა უნდა, თხზავდა, ცოტა სიმართლეც დიდ ფანტაზიურ ამბავს გაურეკდა და სტუდენტების ამით ატიებდა ავკიხარებდა. ერთი დებალი გაბმა-კუთარებით დამაბოხებელი.

— 1917 წელს, ოქტომბრის რევო-[illegible] ბენაშვილთან ერთად... — ყველანი ეზიდვაზა, ხელნა-ხელებით გალაქტიონი, — ხმოლში გაეგო ჩემი იქ ყოფნა და გამომიხახა. შესაფერ კარგანთან ჩიეი ხოსო შეხვედა.

— შერე, ბატონო გალაქტიონ, რა გითხრა სტალინმა? — გაფაციცებით ინტერესით ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— გალაქტიონ, რევოლუციას შენი დახმარება ხჭირდებათ, მითხრა მან, — უპასუხებდა გალაქტიონი.

— თქვენ რა პასუხი მოეცით?

— მზად ვარ ვემსახურო რევოლუციას მეთქი.

— პოდა, შეუპასუხა ბახმარების რაზმები გეუბრძანა და იქ უნდა ბახვიდეო.

— თქვენ რა უპასუხეთ? — კვლავ ხულშოსულმოლილ ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— ცოტახანი დავფიქრდები მეთქი, ვუთხარი და დავფიქსდი. მეორე დღეს უნდა მივსულიყავი.

— მიხვედით?

— რახაკვირველია, არა. მერე არ დავბრუნებულვარ ხმოლში. მე და ალექსანდრე პოეზიის ხჭირდებოდით, ძამიკოებო, და ბახმარებისათვის ოთახ ვიყავით გადაჭდილები. ეხლა ალბათ გეცოლებიდით თქვენი გალაქტიონი. ასე არ არის?

— ეხლაც, ახეა, ბატონო გალაქტიონ, — ერთხმად უპასუხებდნენ სტუდენტებიც.

ყველაზე ახეთ ანეკდოტურ ამბებსაც და ამაზეც, ვფიქრობთ, იყო რაღაც ფიქრი გალაქტიონისებური.

სასტუმროსთან შეეჩერდით. დასეეხება არ ინებეს. თქვენთან ყოფნა და საუბარი მირჩენიათ, თქვა. ამხოსთან კიდეც სულ მთლად გათენდა. მაღვიძა სასტუმროსთან უკვე გველოდებოდა. გალაქტიონი, დიმიტრი ბენაშვილი, ალექსანდრე ღლონტი და მე ჩავედით ოთახში და 21 აპრილს დილის 9 საათზე გავემართეთ თბილისისაკენ.

ასეთი იყო გალაქტიონ ტაბიძის უკანასკნელი ერთი დღე სამხრეთ ოსეთში. ეს დღე არასოდეს წაიშლება ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის კედლის ოურ სტუდენტებსა და თანამშრომელთა მუხსიერებაში, რომელიც მოხაგონებელთა მუხსიერებაში, რომელიც მოხაგონებელთა მუხსიერებაში, რომელიც მოხაგონებ

ბავშვში

და ისეთი რამისკენ მიიმართება, რაც ბავშვისათვის ახლობელიც არის და გასაგებიც. ამის გამო ბავშვი შეეჩვევა გაკვეთილის მსვლელობასა და წიგნის კითხვის დროს სხვა რამეზე ფიქრს, რაც სწავლაში ჩამორჩენილობის ერთ უცვლელზე დიდ მიზეზად იქცევა. ასეთ არასიამოვნო მოვლენას რამდენიმე დაუსწავლელმა გაკვეთილმაც შეიძლება მისცეს დასაბამი, თუ მასწავლებლისა და მშობლების მიერ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები.

ზოგჯერ მშობლებიცა და ოჯახის სხვა წევრებიც უშლიან ხელს ბავშვის უურადღების ნორმალურ განვითარებას. იმით, რომ თვითონ საინტერესო საკითხებზე ლაპარაკობენ, ერთმანეთს საინტერესო ამბებს უყვებიან, ტელევიზორს უყურებენ და იქვე ბავშვს აიძულებენ გაკვეთილების მომზადებას შეუდგეს, წიგნი იკითხოს, ან ამოცანები გამოიყვანოს. ასეთ შემთხვევებში ბავშვი ეჩვევა ისე „იმეცადინოს“, რომ საინტერესო ამბებიც მოისმინოს. ამის გამო ბავშვი მეცადინეობისადმი უურადღების კონცენტრაციას ვეღარ ახდენს. ამის შედეგად, გარდა იმისა, რომ დავალებები მოუმზადებელი რჩება, ბავშვს უურადღებაც უფუძდება, იგი პასიური და გაფანტული ხდება. ბავშვს, თუ არ გვინდა უურადღება გავუფუჭოთ, არ უნდა დაველისოთ იმეცადინოს ისეთ პირობებში, რომ მის ხელისმიდ სხვა მისთვის საინტერესო შთაბეჭდილებებმა მიაღწიოს.

7-8 წლის ბავშვის უურადღება უფრო პასიურია, ვიდრე აქტიური. ამიტომ ის მოვლენები, რომელზედაც გვინდა, რომ მან უურადღება შეაჩეროს, ემოციურ ხასიათს უნდა ატარებდეს, მისთვის მიმზიდველი და სახიბოვნო უნდა. ამის გამო, რომ პირველ კლასებში სწავლის ბაქმეში დიდ ადგილს იკავებს ემოციური ფაქტორები. მაგრამ ემოციური ფაქტორების ხელოვნური წონა ასაკის წინასწარ თან ერთად თანდათანობით უნდა შეამციროთ, რათა აქტიური უურადღების განვითარებას შევუწყოთ ხელი.

უურადღება ძალდატანებულად არ შეჩერდება ისეთ რამეზე, რაც გაუგებარია და უაზრო. მოსწავლეს არ შეუძლია უურადღებით მოისმინოს და იკითხოს ისეთი რამე, რაც არ უსიამოვნებს. ამიტომ ბაღის უურადღებით ყოფნა მოეთხოვება, მას ხელოვნური უურადღებისა არავის. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებ ბავშვის მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილებს ცუდად და გაუგებრად ხსნის. ასეთივე მდგომარეობაში ვარდება ქარგ მასწავლებელთან მოსწავლე, რომელმაც წინა მასალა არ დაისწავლა და ამიტომ ახალს ვერაფერ გებულობს. მშობლებმა განსაკუთრებით უნდა აღვნონ თვალყური (მასწავლებლების დაბარებით), რომ ბავშვებმ წინა მასალა (განსაკუთრებით ენასა და მათემატიკურ საგნებში) აუცილებლად არ დარჩეს. თორემ ასეთი რამ, გარკვა იმისა, რომ ბავშვს ავალმყოფურად ჩამოარჩენს, უუურადღებობასაც შეიჩვევს.

• ყველა მშობელს სურს შილი საუკეთესოდ აღზარდოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მშობელს არ ყოფნის ერთბიჯოდა იმისათვის, რომ გაეკეთოს ყველაფერი, რაც ბავშვის აღზრდის საქმეში აუცილებელია. თუ თვითონ მასწავლებელთან, მშობლების და ოჯახის დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ბავშვის უურადღების ეფექტის საქმეში, თუ ისინი ამ მიმართულებით სისტემატურ მუშაობას არ დაიწყებენ და უუურადღებობას არ გამოიჩენენ.

პროფ. შ. ჩხარტიშვილი.

ნონა გაფრინდაშვილი

დაუნის გვირგვინით შეამკეს

მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში 20 მაისს საზეიმოდ დაიხურა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მატჩის მონაწილენი ნონა გაფრინდაშვილი და ალა კუშნირი, მათი სეკუნდანტები ი. ნეი და გ. გურგენიძე, მთავარი არბიტრი ნ. გურშკოვა-ბელსკაია, მსაჯი თ. სტრანდსტრემი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე და სხვები.

საზეიმო სალამო გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივინინმა. იგი გულითადად ულოცავს ნონა გაფრინდაშვილს მატჩში დამაჯერებელ გამარჯვებას. დამსწრეებს მატჩის შედეგები მოახსენა მთავარმა არბიტრმა ნ. გრუშკოვა-ბელსკამ.

დადგა ყველაზე საზეიმო მომენტიც. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი საერთაშორისო ფედერაციის ნონა გაფრინდაშვილს აცნობებს მსოფლიო ჩემპიონად ქალთა შორის. იგი გამარჯვებულს გადასცემს ოქროს მედალს და ამაყობს დაფნის გვირგვინით. დარბაზში მყოფნი ერთსულოვნად ტაშით ხვდებიან სახელოვან ქართველ მოჭადრაკე ქალს.

კალათბურთელთა ასპარეზობა

გაიმარჯა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩები ქალაქ ბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. კუნასის „ჟალგირისმა“ თავის მოედანზე მეორე შეხვედრაც მოუგო „ლიეტა „სტროტელს“ — 77:66. ტალინში ტარტუ-„კალევმა“ ანგარიშით 92:78 დაამარცხა რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი.

თბილისის „დინამო“ ალმა-ატაში ჩავიდა და შეხვდა გათამაშების აუტსაიდერს — ადგილობრივ „ლოკომოტივს“. ანგარიშით 71:65 გაიმარჯვეს თბილელებმა.

გადავხედოთ გათამაშების ცხრილს. 40 თამაშის შემდეგ 31 ქულით ლიდერია ეკონომის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. 30 ქულით (41 თამაშიდან) მეორე ადგილზე მიდის თბილისის „დინამო“. ტარტუს „კალევს“ 27 ქულა აქვს და მესამე ადგილზე იმყოფება.

26-26 ქულა აქვთ ლენინგრადის სპარტაკის“ და კიევის „სტროტელს“. მათ შესაბამისად უკანასკნელ მეოთხე და მეხუთე ადგილებზე. 25 ქულა აქვს „კუზნასის „ჟალგირისს“. შემდეგ მოდიან მოსკოვის „დინამო“ — 22 ქულა, კიევის „სპარტაკი“ — 20 ქულა, თბილისის „ბურევესტნიკი“ — 14 ქულა, რიგის სკა — 13 ქულა, რიგის ვეფი — 11 ქულა. ბოლო ადგილზეა ალმა-ატის „ლოკომოტივი“ — 7 ქულა.

სპორტული ქრონიკა

ბელგიაში ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე საბჭოთა მოჭიდაებმა კიდევ სამი მედალი მოიპოვეს. მოსკოვის ვ. ბობროვმა ოქრო ერგო, ხოლო ა. ჯიბროშვილმა და ვ. საუნინმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

* * *

ბიუზუმი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) დამთავრებულ ვეჭ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა დიდოსტატი ბენტ ლარსენი. მან ასპარეზობა თერთმეტი ქულით დაამთავრა. 10,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ლევ პოლუგაევსკიმ. მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ალექსანდრე ზაიცევმა იუგოსლაველ ბ. იეკოვთან ვრთად გაიყო მეხუთე-მეექვსე ადგილები. თითოეულმა მათგანმა მოაგროვა 8,5 ქულა.

* * *

იტალიის წყალბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ჩვენს ქვეყანაში. სტუმრებმა ბოლო ორი შეხვედრა გამართეს მინსკში სსრ კავშირის და ბელორუსიის ნაკრებ გუნდებთან. იტალიელებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხება განიცადეს — 2:4, ხოლო ბელორუსს წყალბურთელებთან გაიმარჯვეს 5:3.

ფრე ოქტომბერიანში

ჟი მაისს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები საბჭოთა კავშირის პირველობაში ვაჟთა გუნდებს შორის. ქალაქ ბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. კუნასის „ჟალგირისმა“ თავის მოედანზე მეორე შეხვედრაც მოუგო „კიევის „სტროტელს“ — 77:66. ტალინში ტარტუ-„კალევმა“ ანგარიშით 92:78 დაამარცხა რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი.

თბილისის „დინამო“ ალმა-ატაში ჩავიდა და შეხვდა გათამაშების აუტსაიდერს — ადგილობრივ „ლოკომოტივს“. ანგარიშით 71:65 გაიმარჯვეს თბილელებმა.

გადავხედოთ გათამაშების ცხრილს. 40 თამაშის შემდეგ 31 ქულით ლიდერია ეკონომის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. 30 ქულით (41 თამაშიდან) მეორე ადგილზე მიდის თბილისის „დინამო“. ტარტუს „კალევს“ 27 ქულა აქვს და მესამე ადგილზე იმყოფება.



მღერიან ნორჩი ლენინელები

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე — 19 მაისი ზეიმით აღინიშნე ცხინვალში ნორჩმა ლენინელებმა.

წლეულს განსაკუთრებით სასიხარულო იყო ეს დღესასწაული, იგი აღინიშნა ლენინის დაბადების 100 წლისთავის მზადების დღეებში. პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების მთელი საქმიანობა ამ ჰეროსწინასწარმეტყველი თარიღის ქვეშ ექცეოდა. ამის მკაფიო დემონსტრირება იყო კლუბ ხეთაურეთის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარებული პიონერული რაზმების სიმღერის დათვალიერება, რომელიც ცხინვალის ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა მოაწყო.

სალამოს 8 საათზე. იხსნება ფარდა. სცენას ავსებენ ვ. ი. ლენინის პორტრეტი, პიონერული ემბლემა და მუსიკალური ლარა. ირიბ სურნს სიღრმეში გზა გაუხსნის კოცონი. შეკრებაზე მოვიდნენ ვეტერანი პიონერები და კომკავშირელები, მასწავლებლები, მშობლები.

შეკრებას ხსნის საქართველოს ალპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის სპეციალ განყოფილების გამგე, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ლილი გასიევა. შეკრების პასუხისმგებელ მორიგე დიანა გაბუევა პატაკებს იბარებს. შემოაქვთ პიონერთა საქალაქო დროშა. შემდეგ ლილი გასიევამ პატაკი ჩააბარა და მიმართა ბავშვებს: „პიონერებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად ყოველი მზად!“ დარბაზში გაისმის ომახიანი: „მზად ვართ!“.

პიონერულ ფორმაში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები ღელავენ, გულს ფანცქალით, მოუთმენლად ელიან დათვალიერების დაწყებას. ისინი ხომ დიდი გულმოდგინებით ემზადებოდნენ ამ დღისათვის.

პირველად სცენაზე გამოდის ბორის ძნელაძის სახელობის №1 რაზმეულის რაზმის მომღერალთა გუნდი. პატარები ლამაზად და კარგად ასრულებენ „ნორჩ პიონერთა მარშს“, რომელსაც დამწყრუნი პიონერთა მარშს“, რომელსაც დამწყრუნი ოყო კოტა ხეთაურეთის სახლობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარებული პიონერული რაზმების სიმღერის დათვალიერება, რომელიც ცხინვალის ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა მოაწყო.

სალამოს 8 საათია. იხსნება ფარდა. სცენას ავსებენ ვ. ი. ლენინის პორტრეტი, პიონერული ემბლემა და მუსიკალური ლარა. ირიბ სურნს სიღრმეში გზა გაუხსნის კოცონი. შეკრებაზე მოვიდნენ ვეტერანი პიონერები და კომკავშირელები, მასწავლებლები, მშობლები.

შეკრებას ხსნის საქართველოს ალპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის სპეციალ განყოფილების გამგე, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ლილი გასიევა. შეკრების პასუხისმგებელ მორიგე დიანა გაბუევა პატაკებს იბარებს. შემოაქვთ პიონერთა საქალაქო დროშა. შემდეგ ლილი გასიევამ პატაკი ჩააბარა და მიმართა ბავშვებს: „პიონერებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად ყოველი მზად!“ დარბაზში გაისმის ომახიანი: „მზად ვართ!“.

პიონერულ ფორმაში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები ღელავენ, გულს ფანცქალით, მოუთმენლად ელიან დათვალიერების დაწყებას. ისინი ხომ დიდი გულმოდგინებით ემზადებოდნენ ამ დღისათვის.

პირველად სცენაზე გამოდის ბორის ძნელაძის სახელობის №1 რაზმეულის რაზმის მომღერალთა გუნდი. პატარები ლამაზად და კარგად ასრულებენ „ნორჩ

В этом деле пронумеровано
(2) листов
02.11.93